ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 174

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „მაგთიკომი" (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვი 12 ცალი 4G USB მოდემის (E3372h-153 Hilink USB Stick) /32552410-CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1260 (ერთი ათას ორას სამოცი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორება

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, წინასწარი გადახდის პირობით.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.3. მიმწოდებელი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობის საავანსო თანხის საბანკო გარანტიას ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;
3.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელი ხელშეკრულების ღირებულების 100% ავანსის სახით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საავანსო თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს. ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
3.5 მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
4.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
4.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.
4.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. საქონლის მიწოდება და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის გადაცემა განხორციელდება 3.4 პუნქტით ჩარიცხული თანხის შემდეგ 15 კალენდარული დღის ვადაში.
5.2 საქონლის გადაცემის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

6. გარანტია

6.1 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა არის ექვსი თვე.
6.2 თუ აღნიშნულ ვადაში დაზიანდება მიწოდებული საქონელი, რომელიც არ იქნება გამოწვეული გარე მექანიკური ზემოქმედებისაგან ან მისი არასწორი ექსპლუატაციისაგან, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი შეკეთება ან/და საქონლის ახლით შეცვლა.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8.ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
– მხარეთა შეთანხმებით;
– ფორს-მაჟორული სიტუაციით;
– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან მემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – მ'ხია ადუაშვილი.
10.2 მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 12 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:
თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34
საიდ.კოდი:230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი TRESGE22

ბესიკ წიკლაური
მუნიციპალიტეტის გამგებელი

მიმწოდებელი:
შპს „მაგთიკომი"
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ N7
საიდ.კოდი: 204876606
ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი № UGEBGE22
ა/ა GE73VT6600000000423607

გია კოშორიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

15.10.15№

საავანსო გადახდის გარანტია N.BGCA0685/151015

გარანტი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" (ს/კ 202906427)
პრინციპალი: შპს „მაგთიკომი" (ს/კ 204876606)
ბენეფიციარი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.
საგარანტიო თანხა: 1,260 (ათასორასსამოცი) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2015 წლის 12 ოქტომბერს გაფორმდა N.174 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 12 ცალი 4G USB მოდემის (E3372h-153 Hilink USB Stick) შესყიდვაზე (შემდგომ „ხელშეკრულება") (CVP-32552410). ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ ბენეფიციარი პრინციპალს ავანსად ჩაურიცხავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულებას, თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს საბანკო გარანტიას მოთხოვნილი ავანსის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენისთანავე აუწაზღაუროს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები 1,260 (ათასორასსამოცი) ლარის ფარგლებში. მოთხოვნა აწაზღაურებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება, რომლის გამოც მოხდა მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ცენტრალურ ფილიალში ბენეფიციარის მიერ პრინციპალის №GE73VT6600000000423607 ა/ანგარიშზე ავანსის სახით 1,260 (ათასორასსამოცი) ლარის ჩარიცხვისთანავე. საბანკო გარანტია ძალაშია 2016 წლის 31 იანვრამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", სათავო ოფისი, გ.ჭანტურიას ქ. №14, თბილისი, 0114, საქართველო. წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად მცირდება ჩვენს მიერ აღნიშნულ საბანკო გარანტიაზე გადახდილი თანხების პროპორციულად. საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით და/ან საბანკო გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით.

  საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის უფროსი *ლია ძნელაძე*

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14

ტელეფონი:
+(995) 32 224-24-24
ფაქსი:
+(995) 32 293-32-91

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.ge